



კავკასიის სამართლის სკოლის  
(CSL)  
იურიდიული კლინიკის  
პროგრამა

## პროგრამის სახელწოდება:

*იურიდიული კლინიკა (პრაქტიკული კურსი სამართლის სკოლის სტუდენტებისათვის)*

პროგრამის ხანგრძლივობა: 4 თვე (1 თვე - „ონლაინ სწავლება“, 3 თვე - პრაქტიკული კურსი და ფინალური პრეზენტაციები, პროგრამის შეჯამება, სერთიფიკატების გადაცემა)

## პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულია კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტების პრაქტიკულ საადვოკატო საქმიანობაში ჩართვისა და მათთვის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისაკენ. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს სწორად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები და დაგეგმონ კარიერა.

პროგრამა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსულტაციებით და მთელ რიგ შემთხვევებში, კანონის ფარგლებში, სტუდენტს კლიენტის სასამართლოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობის შესაძლებლობასაც აძლევს.

პარალელურად სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ შპს “გეწაძე და პატეიშვილის” საქმიანობის თავისებურებებს და თვითონაც ჩაერთონ მთელ რიგ ღონისძიებებში, რაც მათ მიერ მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების გარანტია იქნება.

## პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტები, რომელთაც გავლილი აქვთ მაგისტრატურაში არანაკლებ 40 კრედიტი და ბაკალავრიატში არანაკლებ 180 კრედიტი.

## პროგრამა მოიცავს:

### პრაქტიკული საკითხები:

- პროფესიული ეთიკა;
- კლიენტის კონსულტირება;
- სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება;
- ადვოკატის პროფესიული უნარ-ჩვევები.
- სასამართლოში წარმომადგენლობა

### სამართლის სფეროები:

- სამოქალაქო;
- ადმინისტრაციული.
- კონსტიტუციური;

## პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- მოსამზადებელი პერიოდი – პროგრამის განხორციელების პირველ თვეს მოხდება პროგრამის თანამშრომელთა შერჩევა. პროგრამის ფარგლებში დასაქმდება 4 ადვოკატი და 1 პროგრამის კოორდინატორი, რომელიც გარდა უშუალოდ სტუდენტებთან მუშაობისა აგრეთვე კოორდინირებას

გაუწევს მთლიანად პროგრამის განხორციელებას. ადვოკატებს, რომლებიც დასაქმდებიან აღნიშნულ პროგრამაში, ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია, მსგავს პროგრამებში მუშაობის გამოცდილება და სათანადო მოტივაცია. კლინიკის თანამშრომელთა რაოდენობის ცვლილება შეიძლება განხორციელდეს კლინიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით

- **სტუდენტებისა და პროგრამის თანამშრომელთა გაცნობითი შეხვედრა** – ვინაიდან პროგრამის პირველი ეტაპი მოიცავს ონლაინ სწავლებას, აუცილებელია მოხდეს პროგრამის თანამშრომელთა და სტუდენტთა ურთიერთგაცნობა, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს სწავლების პროცესს. შეხვედრა მიზნად ისახავს საკონტაქტო ინფორმაციის გაცვლას, სტუდენტებისათვის კლინიკის პროგრამის, სწავლების მეთოდის, ეთიკის წესების გაცნობას, მათი ინტერესის სფეროების შესახებ ინფორმაციის მიღებას და სხვ. სტუდენტები უშუალოდ **ესტუმრებიან შპს "გეწაძე და პატეიშვილის"** ოფისს და გაეცნობიან მის მუშაობას.
- **ონლაინ სწავლება** – იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს დატვირთული სასწავლო გრაფიკი აქვთ, პროგრამის განხორციელების პირველი ნაწილი დაეთმობა ონლაინ სწავლებას. სწავლების აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს საშუალებას მისცემს სწავლის პარალელურად მიიღონ გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება, როგორც ჰიპოთეტურ, ისე ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ რეალურ საქმეებზე ონლაინ მუშაობის გზით. მათ მიეცემათ დავალებები სამართლის სხვადასხვა დარგში. კონკრეტული კაზუსებიდან გამომდინარე, მათ მოუწევთ სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტზე მუშაობა ონლაინ რეჟიმში. ხელმძღვანელი ადვოკატისგან მიეცემათ დავალებები, ასევე შესაბამისი ინსტრუქციები მის მოსამზადებლად. ონლაინ სწავლების ეტაპი წარმოადგენს გარკვეულ მოსამზადებელ საფეხურს ინტენსიურ პრაქტიკულ სწავლებაზე გადასასვლელად და მნიშვნელოვნად გააადვილებს სამუშაოს, როგორც სტუდენტებს, ისე ადვოკატებს.
- **ინტენსიური პრაქტიკული სწავლება:**  
**სტუდენტების ჩართვა რეალურ საქმეებში** – სწავლების მეორე ეტაპი ითვალისწინებს რეალურ საქმეებში სტუდენტების უშუალო ჩართვას ორგანიზაციაში მათი მუშაობის გზით. მათ საშუალება მიეცემათ ინტერესის სფეროს მიხედვით შეარჩიონ საქმე და იმუშაონ მასზე ადვოკატის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ საქმის მასალები, გააკეთონ საქმის და შესაბამისი ნორმატიული ბაზის ანალიზი, მოამზადონ საჭირო დოკუმენტები და კანონით დასაშვებ ფარგლებში ჩაერთონ სასამართლო პროცესში. საქმის აღებისას კლიენტი წინასწარ იქნება ინფორმირებული მის საქმეში სტუდენტების ჩართვის თაობაზე და იქნება მიღებული მისი თანხმობა. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები მოამზადებენ იმ საქმეების პრეზენტაციას, რომელშიც იყვნენ ჩართული, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ მიღებული გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.  
**კონსულტაციები** – საქმეთა აღებისა და მათზე მუშაობის პარალელურად, ადვოკატის ზედამხედველობით სტუდენტები ჩაერთვებიან მოქალაქეთა კონსულტირების პროცესში და იურიდიულ დახმარებას აღმოუჩენენ შპს "გეწაძე და პატეიშვილის" ოფისში მოსულ კლიენტებს.  
**მუშაობა კანონპროექტებზე** სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან მოქმედი კანონმდებლობისა და კანონპროექტების ანალიზის პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი ანალიზის, კვლევის, მსჯელობის, პოზიციის არგუმენტირების უნარ-ჩვევების განვითარებას.

**სარჩელების მომზადება** – კანონპროექტებზე მუშაობის პარალელურად, სტუდენტები ჩაერთვებიან ნორმების მოძიებისა და სარჩელების მომზადების პროცესში.

**სტატიების მომზადება** – შპს "გეწაძე და პარტნიშვილს" აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინტენსიურად შექდება ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეების მიმდინარეობა და სხვა სამართლებრივი საკითხები. სტუდენტები ჩაერთვებიან სტატიების მომზადების პროცესში და შესაძლებლობა მიეცემათ გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შემდგომში განთავსდება შპს "გეწაძე და პარტნიშვილს" ოფიციალურ ვებგვერდზე.

**პრეზენტაციის მომზადება** – კლინიკის პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტები მოამზადებენ პრეზენტაციას მათ მიერ წარმოებულ ერთ საქმეზე. ისინი წარმოადგენენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს: საქმის არსს, ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ არგუმენტაციას, მოძიებულ მტკიცებულებებს, მომზადებულ და წარდგენილ შუამდგომლობებს, სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტაციას, პროცესუალურ საკითხებს, დაცვის სტრატეგიას, სამართლებრივ შედეგებს, სასამართლო გადაწყვეტილებას.

**სტუდენტმა პრეზენტაციაზე სრულყოფილად უნდა წარმოადგინოს მის მიერ წარმოებული საქმე და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, უნდა ჩამოაყალიბოს:**

- საქმის ფაქტობრივი გარემოებები, დავის არსი;
- სამართლებრივი საფუძვლები;
- მის მიერ მომზადებული მასალები, მოძიებული მტკიცებულებები, წარდგენილი შუამდგომლობები;
- სასამართლო განჩინებები და გადაწყვეტილებები, მათი ანალიზი და შეფასებები;
- საქმის საბოლოო შედეგი;
- მუშაობის შეფასება: მიღებული დადებითი და უარყოფითი გამოცდილება

პრეზენტაცია უნდა მომზადდეს Power Point-ში. თითოეულ სტუდენტს დაეთმობა 20-30 წუთი.

სტუდენტს მოეთხოვება არგუმენტირებული მსჯელობა, მან უნდა დაასაბუთოს მის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგიის სისწორე, მომზადებული შუამდგომლობების მართებულობა, სტუდენტი ასევე მოახდენს მიღწეული შედეგის თვითშეფასებას, წარმოაჩენს, როგორც დადებით ისე უარყოფით გამოცდილებას.

**პრეზენტაციის შესრულებისას სტუდენტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

1. საქმის სამართლებრივი ანალიზი;
  2. საქმეზე შესრულებული და მოძიებული მასალა და კანონმდებლობის ანალიზის სიზუსტე;
  3. მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების მართებულობა და სისწორე;
  4. არგუმენტაცია, მსჯელობა;
  5. წერის კულტურა;
- **პროგრამის შეჯამება, სერთიფიკატების გადაცემა, გამოსამშვიდობებელი საღამოს ორგანიზება** – პროგრამის დასასრულს სტუდენტებისათვის

მომზადდება სერთიფიკატები, რომელთა გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში. —

- **პროგრამის მონიტორინგი** – პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია შპს "გეწაძე და პატიეშვილის" დირექტორი. პროექტის განხორციელების შიდა მონიტორინგს განახორციელებს პროგრამის კოორდინატორი, რომლის მიერ მომზადდება ყოველთვიური და ერთი შემაჯამებელი ანგარიში.
- **პროგრამის განხორციელების გზები და მეთოდика:**  
ვინაიდან პროგრამის პირველი ეტაპი ეთმობა ონლაინ სწავლებას მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და პროგრამის თანამშრომლების გაცნობითი შეხვედრის ორგანიზება, რაც მომავალში მნიშვნელოვნად გააადვილებს და ნაყოფიერს გახდის მათ თანამშრომლობას. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ, ამ პერიოდის განმავლობაში, ესტუმრონ ორგანიზაციის ოფისს და სამჯერ შეხვდნენ პროგრამის თანამშრომლებს. შეხვედრის მიზანია სტუდენტებისათვის საინტერესო ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ხარვეზების კორექტირება, პროგრამის პროდუქტიულობის ზრდა.

**1 თვე ონლაინ სწავლება:** ითვალისწინებს სტუდენტებთან დაუსწრებელივ რეჟიმში მუშაობას. კონკრეტულად, მათ გადაეგზავნებათ როგორც ჰიპოთეტური ისე რეალური კაზუსები სამართლის სხვადასხვა დარგში: სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საკონსტიტუციო და მიეცემათ კონკრეტული პრაქტიკული დავალებები (მაგ.: საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო აქტების მოძიება, საქმის ანალიზი, აუცილებელი პროცესუალური დოკუმენტების მომზადება (სარჩევები, შუამდგომლობები, საჩივრები, საკონსტიტუციო სარჩევები და სხვ.). ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ სამჯერ შეხვდნენ პროგრამის თანამშრომლებს (ადვოკატებს, ადვოკატ-კოორდინატორს) და მათთან ერთად განიხილონ როგორც სამართლებრივი, ისე ორგანიზაციული საკითხები.

- დავალების შესრულებისას სტუდენტის ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
  1. საქმის მასალების ანალიზის სისწორე;
  2. მოძიებული მასალა და კანონმდებლობის ანალიზის სიზუსტე;
  3. მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების მართებულობა და სისწორე;
  4. არგუმენტაცია, მსჯელობა;
  5. წერის კულტურა;
- **3 თვე ინტენსიური პრაქტიკული სწავლა:** გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ საადვოკატო პრაქტიკას შპს "გეწაძე და პატიეშვილის" ადვოკატების და პროგრამის-კოორდინატორის უშუალო ხელმძღვანელობით. სტუდენტები ჩაერთვებიან მათ მიერ შერჩეულ კონკრეტულ საქმეებში და მონაწილეობას მიიღებენ ყველა იმ პროცესუალური ქმედების განხორციელებაში, რომელიც აუცილებელი იქნება კონკრეტული საქმის წარმოებისათვის სასამართლო თუ სხვა ადმინისტრაციულ ინსტანციებში. თითოეული სტუდენტი ვალდებული იქნება ჩაერთოს მინიმუმ 3 საქმეში. ისინი კანონმდებლობის ფარგლებში აქტიურად ჩაერთვებიან უშუალოდ საქმის წარმოების პროცესში ადმინისტრაციულ თუ სასამართლო ორგანოებში.

კურსის ფარგლებში ერთ საქმეში შეიძლება ერთდროულად რამოდენიმე სტუდენტი იყოს ჩართული, თუმცა თითოეული მათგანი იმუშავებს დამოუკიდებლად და ყველა საჭირო დოკუმენტს მოამზადებს პირადად. ადვოკატები კონკრეტულ საქმეზე მომუშავე სტუდენტებისათვის დანიშნავენ პირველ, გაცნობითი ხასიათის **სამუშაო შეხვედრას**, სადაც მოხდება სტუდენტებისათვის საქმის მასალების გაცნობა და დავალებების მიცემა. ხოლო შემდგომ – საჭიროებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად. შეხვედრაზე მოხდება სტუდენტების მიერ შესრულებული ინდივიდუალური სამუშაოს შეფასება და შემდგომი ქმედებების დაგეგმვა.

საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე ადვოკატი უფლებამოსილია გაანაწილოს სამუშაო სტუდენტებს შორის მათი ინტერესის გათვალისწინებით. ამ დროს არ უნდა დაირღვეს სამუშაოს თანაბრად განაწილებისა და სტუდენტებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის პრინციპი.

სტუდენტებს საშუალება ექნებათ მიიღონ გამოცდილება და ცოდნა პრაქტიკოსი ადვოკატებისაგან.

პროგრამის ბოლოს კოორდინატორ-ადვოკატების მიერ მოხდება სტუდენტების შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საქმის მასალების ანალიზის სიზუსტე, მომზადებული დოკუმენტების სისწორე და სამართლებრივი დასაბუთება;
2. კანონმდებლობის ანალიზის სისწორე;
3. გაწეული კონსულტაციების სისწორე;
4. სასამართლო პროცესში ჩართულობა;
5. დასწრება-აქტივობა.

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები გააკეთებენ იმ საქმეების პრეზენტაციას, რომელშიც ისინი იყვნენ ჩართული, რათა კურსის სხვა მონაწილეებს გაუზიარონ მიღებული გამოცდილება და ცოდნა.

სამუშაო შეხვედრების 4 - ჯერ არ დასწრების შემთხვევაში სტუდენტი ჩაიხსნება კლინიკის პროგრამიდან. საპატიო გაცდენად ჩაითვლება მხოლოდ კავკასიის სამართლის სკოლის მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევები.

- **კონსულტაციები:** პროგრამის ფარგლებში, ადვოკატების ხელმძღვანელობით, მოხდება სტუდენტების ინტენსიური ჩართვა კონსულტაციებში. კონსულტაციებში მონაწილეობა მათ საშუალებას მისცემს მიიღონ მრავალფეროვანი გამოცდილება სამართლის სხვადასხვა სფეროში, დაეუფლონ კლიენტთან ურთიერთობის ხელოვნებას და გამოიმუშაონ შეზღუდულ დროში სწრაფი რეაგირების უნარი. სტუდენტები მოქალაქეებს გაუწევენ, ძირითადად ზეპირ კონსულტაციას, გარდა ამისა, მათი წერილობითი, არგუმენტირებული, იურიდიული მსჯელობის განვითარების თვალსაზრისით, პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებული იქნება მოქალაქეს გაუწიოს მინიმუმ 3 წერილობითი კონსულტაცია.
- **მუშაობა კანონმდებლობაზე:** პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას მოქმედი კანონმდებლობისა და კანონპროექტების

ანალიზის პროცესში. თითოეულ კანონპროექტზე შედგება სტუდენტების სამუშაო ჯგუფი.

- **სასამართლო პროცესებში მონაწილეობა** – კლინიკის პროგრამის სტუდენტები ადვოკატების ხელმძღვანელობით ჩაერთვებიან სასამართლო პროცესებში, იმ ფარგლებში, რასაც იძლევა მოქმედი კანონმდებლობა. მოამზადებენ და სასამართლოში საქმის განხილვისას უშუალოდ წარმოადგენენ საქმესთან დაკავშირებულ იურიდიულ დოკუმენტებს (წერილობით ახსნა-განმმარტებას, საპაექრო სიტყვას, დაცვით სიტყვას, შესაგებელს და სხვა). ადვოკატი უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასამართლო პროცესებში, ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ საქმეებზე. გარდა ამისა სამართლის სხვადასხვა დარგში ჩატარდება იმიტირებული პროცესები (შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დარბაზები შესაბამისი გარემოს შესაქმნელად).
- **სტატიების მომზადება:** დაევალებათ საინტერესო სტატიების მომზადება პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხების, საკანონმდებლო ხარვეზების, ან იმ საქმეების შესახებ, რომლებშიც თვითონ არიან ჩართული.  
სტატიების შერჩევა მოხდება პროგრამის კოორდინატორისა და ადვოკატების ერთობლივი გადაწყვეტილებით მათი აქტუალურობიდან გამომდინარე. სტატიები შეიძლება გამოქვეყნდეს კურსის დასრულების შემდგომაც.

სტუდენტთა შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ონლაინ სწავლებაში ჩართულობა- 15%
2. საქმეში ჩართულობა: მასალებზე მუშაობა, დოკუმენტაციის მომზადება, იურიდიული დასაბუთება და სამუშაო შეხვედრებზე დასწრება- აქტივობა 20%
3. მოქალაქეთა კონსულტირება 10%
4. კანონმდებლობის ანალიზი 10%
5. სასამართლო პროცესში მონაწილეობა 15%
6. სტატიის მომზადება, პრესკონფერენციაში მონაწილეობა 10%
7. პრეზენტაცია 20%

**აქტივობების განრიგი:**

აქტივობა	I (თვე)	II	III	IV						
მოსამზადებელი პერიოდი	X									
გაცნობითი შეხვედრა	X									
ონლაინ-სწავლება	X									
შეხვედრები სტუდენტებთან	X	X	X	X						
ინტენსიური პრაქტიკული კურსი		X	X	X						
სტუდენტების ჩართვა რეალურ საქმეებში		X	X	X						
კონსულტაციებში		X	X	X						

მონაწილეობა										
კანონპროექტებზე მუშაობა		X	X	X						
სტატიების მომზადება		X	X	X						
სემინარების კურსი		X	X	X						
სასამართლო პროცესებში მონაწილეობა		X	X	X						
საქმეების პრეზენტაცია				X						
კურსის შეჯამება, სერთიფიკატების გადაცემა, გამოსამშვიდობებელი საღამოს ორგანიზება				X						

**პროგრამის შტატი** – პროგრამის ფარგლებში მოხდება შემდეგი კადრების შექმნა:

**პროგრამის კოორდინატორი** – პასუხისმგებელია პროგრამის მენეჯმენტზე, პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებების დროულ და ეფექტურ განხორციელებაზე, ანგარიშების მომზადებაზე. უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას პროგრამით დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. ადგენს განრიგებს და აგვარებს ყველა სხვა საორგანიზაციო საკითხს. ახორციელებს პროგრამის შიდა მონიტორინგს. იბარებს პროგრამის ადვოკატების ანგარიშებს.

**ადვოკატი** – პროგრამის ფარგლებში მოხდება 4 კვალიფიციური ადვოკატის შერჩევა. ადვოკატები უხელმძღვანელებენ მათ საქმეებში ჩართული სტუდენტების საქმიანობას კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში. განახორციელებენ პროექტში მითითებულ ყველა ღონისძიებაში სტუდენტების ჩართულობას, მოამზადებენ ჰიპოთეტურ საქმეებს სტუდენტებისათვის.